# სახალხო გაზეთი

№ 167 ხუთშაბათი, 25 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 167

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул. N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванская ул., № 12, Семену Пашалишвили.

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცემის აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—44)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 26.

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ლევ ტოლსტოის ხსოვნის პატივსაცემლად

## მეუფება წყვდიადისა,

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად ლევ ტოლსტოისა, მეველეს თარგმანი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ადმინისტრაცია** ქართ. დრ. საზოგადოება. **რეჟისორი** ვლ. ს. ალ. მესხიშვილი.

**ადგილების ფასი:** გალერეია 25—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

**დამსწრეთა საყურადღებოდ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

**მზადდება წარმოსადგენად:** „ყარაღები", „ზოგი ჭკუა მარგებელია", ნორჩი თაობა" „ქალის ჭკუა", „ძის გოშს" და სხვ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**ზედგენიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10 1/2—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2 1/2—3 1/2 ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2 1/2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2 1/2 ს.

**ხოხოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—834)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ზ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11 1/2—12 1/2 ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11 1/2—12 1/2 საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—497)

## გუნებრივი კახური ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

## ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11. სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—8) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

## მოითხოვეთ გუნებრივი კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—13)

წიგნის გამომცემლობა

## „კულტურა"

პატივისცემით სთხოვს თავის აგენტებს, რომ დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, რადგან მხოლოდ უფულობის გამო შეგვეძლება ხელი და ვისაც ფული გადახდილი აქვს თავის დროზე იმასაც ველარ ჩავაბარებთ. კიდევ ვიმეორებთ, უკეთუ ამ თვის დამლევამდე ფულებს ვერ მივიღებთ, იმ აგენტებს და ხელის-მომწერლებს წიგნები არ გაეგზავნებათ. ფული **მხოლოდ** ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: ტფილისი, კ. თაბართქილაძე.

ვისაც პირადათ საქმე აქვთ ჩვენთან, კანტორა იმყოფება სემენოვის ქ. № 4, სტამბა „ნადეჟდა"-ში. (3—2)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

**ექიმი** მ. ი. მინასიანცი

ხწამლობს შინაგან, ბავშვთა და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ **მატუშიშს** სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—31)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—21)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—90)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—39

**ექიმი** ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი **თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—15)

**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ი. გ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—271


## ტფილისი, 25 ნოემბერი

**სპეციალური განათლება.** ორი დღის წინ ჩვენმა თანამშრომელმა ბ-ნმა Jonnesco-მ ჩვენს გაზეთში განავითარა მეტად საყურადღებო აზრები სპეციალურ განათლების შესახებ. ჩვენს დროში სპეციალური განათლება და ეკონომიური წარმატება ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ არა გვგონია, დილეტანტობას სერიოზული დამცველები აღმოუჩნდნენ.

ეკონომიურ ცხოვრების ეხლანდელ პირობებში არც ერთი დარგი წარმოებისა და [illegible] შეიძლება განვითარდეს, თუ მას სათავეში მეცნიერულად მომზადებული ადამიანი არ ჩაუდგა. ნეტარ-სახსენებელი წარსული დრო ნატურალურ მეურნეობისა ტრადიციასა და ჩვეულებაზე იყო დამყარებული. ეხლა ტრადიციის და ჩვეულების ადგილი მეცნიერულ ცოდნას უჭირავს. მთელი ქვეყნის სახელმწიფონი და ერები ჩვენს დროში დაუღალავად ეჯიბრებიან ერთმანეთს ეკონომიურ ნიადაგზე და ვაი იმ ქვეყანას, რომელიც უკან დარჩება. ვერც პოლიტიკური მიზეზები, ვერც შინაგანი სოციალური უთანხმოებანი ვერ მიაყენებენ ქვეყანას ისეთ ზიანს, როგორც ეკონომიური ჩამორჩენილობა. ის ხალხი, რომელიც წარმოების და მრეწველობის დაბალ საფეხურზე სდგას, აუცილებლად სხვა, დაწინაურებულ, ქვეყნების ეკონომიურ მონად ჰხდება და ქონებრივ სიმდიდრესთან ერთად ჰკარგავს სულის სიძლიერესაც, ხასიათის სიმტკიცესაც და ფიზიკურ ჯანსაღობასაც. უწინ, რომელთა კულტურის დროს, ხალხთა ბრძოლას პირდაპირ ფიზიკურ შეტაკების ხასიათი ჰქონდა; მაშინ შესაძლებელი იყო უფრო რიცხვმრავალ და ფიზიკურად ძლიერს ხალხს დამარცხებული მოწინააღმდეგე ფიზიკურად აღეგავა მიწის პირიდან; ეხლანდელ კულტურისთვის ეს ფიზიკური მოსპობა მთელის ხალხისა, ერისა შეუძლებელია; ეხლა ბრძოლის მთავარ ძარღვს მეურნეობა შეადგენს. ევროპის სახელმწიფოებმა აფრიკაში, ავსტრალიაში, აზიაში და ამერიკაში მრავალი ხალხი მოსპეს, მაგრამ არა მახვილით, არამედ საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრებიდან გარიყვით და ეკონომიურ ექსპლოატაციით.

ის ხალხი, რომელიც ვერ შესძლებს შეითვისოს თანამედროვე სამეურნეო ტეხნიკა, აუცილებლივ სიკვდილის კერძი გახდება. პირიქით, ისეთი ხალხი, რომელიც ეკონომიურად დაწინაურებულია, უზრუნველყოფილია განსაცდელისაგან; იმას მაგრე რიგად ბევრს ვერაფერს დააკლებს ვერც პოლიტიკური უიღბლობა და ვერც შინაგანი უთანხმოება. ეკონომიურად ძლიერ ხალხს სრული საფუძველი აქვს იმედიანად გაუსწოროს თვალი მომავალს, ეკონომიურად დაცემულს კი—მომავალი საშინელებას უქადებს.

ეკონომიურ წარმატებისათვის მრავალი ხელ-შემწყობ პირობებია საჭირო და ამ პირობებში ერთად-ერთი, თვალსაჩინო ადგილი მეცნიერულად მომზადებულ სპეციალისტების გაჩენას უჭირავს. კაპიტალიზმის ხანაში სამეურნეო ტეხნიკის მცირედს ჩამორჩენასაც გარდაუვალის აუცილებლობით მოსდევს თან ბაზრის დაკარგვა, წარმოების შეჩერება, კრიზისი, უმუშევრობა, შიმშილი და, ბოლოს—ფიზიკური გადაგვარება. პირველ-ხარისხოვანი სახელმწიფოებიც კი ყოველ წლივ დიდ ძალ ახალგაზრდობას ჰგზავნიან უცხო ქვეყნებში ადგილობრივ სამეურნეო ტეხნიკის შესასწავლად, რათა საერთაშორისო ეკონომიურ პროგრესს უკან არ ჩამორჩნენ და თავიდან აიცილონ ამ ჩამორჩენის მრავალ-ფეროვანი სახიფათო შედეგი. ის ქვეყნები, რომელნიც ჯერ კიდევ ევროპიულ კაპიტალისტურ წარმოების მონაწილენი არ არიან, ან დაწინაურებულ ქვეყნებს უნდა გაუთანასწორდნენ და ან ხელი უნდა [illegible] სებობაზე. ჩამორჩენილ ქვეყნებში უცხოეთის კაპიტალის შეჭრა და უცხოეთიდან განსწავლულ სპეციალისტების შესვლა, რა თქმა უნდა, ცოტა-ოდნივ აუმჯობესებს მათს მდგომარეობას, მაგრამ მხოლოდ ცოტაოდნივ. სტუმრად მოსულ უცხოეთის კაპიტალისტებს და სპეციალისტებს მხოლოდ ადგილობრივ მუშა-ხელის და ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენება აინტერესებთ. ამ სტუმრებს თვალი მუდამ თავის მეტროპოლიისაკენ უჭირავთ და იქ ჰგზავნიან მთელს თავის მოგებას. ადგილობრივ მკვიდრთ მხოლოდ სიმდიდრის შექმნა ეკისრებათ; ამ სიმდიდრის პატრონები უცხოელნი არიან და უცხოეთში ეზიდებიან მას. სამაგალითო ქვეყანაა ამ მხრივ ინდოეთი. ინგლისის კაპიტალისტები და ინჟენრები დიდძალ სიმდიდრეს ჰქმნიან ამ ქვეყანაში, მაგრამ ადგილობრივი მკვიდრნი წრეს გადასულ სიღარიბეში იმყოფებიან. კლასიურ წინააღმდეგობას აქ, რა თქმა უნდა, დიდი როლი ეკუთვნის, მაგრამ მაინც მარტოოდენ კლასიური წინააღმდეგობა არა მოქმედობს, კლასიურ წინააღმდეგობას აქ ზედ ერთვის რასსიული და, თუ გნებავთ, გეოგრაფიული წინააღმდეგობაც.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებისთვის მრავალი პირობაა საჭირო. როგორც ვიცით, ჩვენს ქვეყანას არც საკმაო ადგილობრივი კაპიტალი მოეპოვება და არც მეცნიერულად მომზადებული სპეციალისტები გააჩნია. კაპიტალის მოგროვებისთვის ჩვენს ქვეყანაში ისე, როგორც სხვაგან, მესამე წოდების პირადი ინტერესი მოქმედობს. წვრილი ვაჭრები, მოქალაქეები, ხელოსნები და ხალხის სხვა ელემენტები ბუნებრივის ინსტინქტით მეცადინეობენ ადგილობრივ კაპიტალის შესაქმნელად. მაგრამ ეს მეცადინეობა უნაყოფოდ დარჩება, თუ დროის შესაფერი, სპეციალურ ცოდნით აღჭურვილი, ტეხნიკოსები არ გაჩნდნენ. უამათოდ ადგილობრივ მეურნეობის წარმატება და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია წარმოუდგენელია. ამის გარეშე კი ხალხის ეკონომიური გაღონიერება და კულტურული ზრდა ყინულზე სწერია.

განვლილ საუკუნეში, თავად-აზნაურობის გავლენით, ქართველ ხალხში მაგრად მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ სწავლა-განათლება სახელმწიფო სამსახურისთვის არის საჭირო. ეს აზრი განსაზღვრავს აღზრდის საქმის მიმართულებას დღევანდლამდე, თუმცა მან უკვე თავისი დრო მოსჭამა. ამ დროგადასულ აზრის ნაყოფია, დაბებში და პაწია ქალაქებში პროგიმნაზიების და გიმნაზიების დაარსება; იმისი ნაყოფია აგრეთვე ის გარემოება, რომ უდიდესი ნაწილი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კურს-დამთავრებულ ქართველ ყმაწვილ-კაცობისა მალამოდ არ ადგება ჩვენს ქვეყანას. ეს ყალბი შეხედულება სწავლა-განათლებაზე, რა თქმა უნდა, შეიცვლება; იგი დღესაც უკვე შერყეულია რამოდენადმე, მაგრამ საბოლოოდ მაშინ იქნება ძლეული, როცა ცოცხალის მაგალითებით დაინახავს ხალხი, რომ სპეციალისტები უფრო ადვილად შოულობენ საქმეს, ვიდრე საერთო განათლების დილეტანტები. ჩვენ ვფიქრობთ, დიდი ხნის ლოდინი აღარ დაგვჭირდება იმ დრომდე, როცა სპეციალურ განათლებაზე სალი [illegible].

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** აირჩიეს 88 ლიბერალი, 115 უნიონისტი, 14 მუშათა პარტიისა, 16 რედმონდის მიმდევარი. უნიონისტებმა ლონდონში 2 ადგილი შეიმატეს, ლივერპულში —1. საერთოდ 5 ადგილი შეიმატეს. ლიბერალები ლონდონის არჩევნებით მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. კონსერვატორები მთავრობის უილაჯობას აცხადებენ და ამბობენ, რომ ვერც ბილლის ვეტოს გაიყვანს და ვერც მეფის დასტურს მიიღებსო. კონსერვატორთა გაზეთები სწერენ, —საკმარისია კონსერვატორებმა 6 თვეს მოიკიდონ ფეხი, რომ კოალიციის გეგმა მთლად ჩაშალონ და მთავრობას დიდის უმრავლესობით კვლავ სათავეში მოექცნენო. მათის აზრით, მთავრობა იძულებული გახდება კონფერენცია მოიწვიოს კონსტიტუციის საკითხების გადასაწყვეტად.

**ურმია.** სოუჯბულაყიდან იუწყებიან: ოსმალეთმა თავის მომხრე ქურთების თემებს უბრძანა, გაერთიანებულის ძალით წინააღუდგნენ და ახალი გუბერნატორი ქალაქში არ შეუშვან. გუბერნატორი ქალაქის მახლობლადაა, თან ახლავს 800 სარბაზი და 500 ცხენოსანი.

**სენდერლენდი.** აირჩიეს ლიბერალი გრინვუდი 11997 ხმით და მუშათა პარტიის კანდიდატი გოლდსტონი—11291 ხმით.

უნიონისტების კანდიდატები დუპინსოგინსკი და სამუელი გაიშავეს. პირველმა 10300 ხმა მიიღო, მეორემ 10132.

**ლონდონი.** ქალთა თანასწორობის პარტიის კანდიდატმა სენპატრასმა ლონდონის ოლქში 20 ხმა მიიღო.

კრების დროს ძლიერის აღელვებისა გამო ორი გარდაიცვალა.

**სოფია.** „ტანინ"-ში გამოქვეყნებულ წერილის გამო, რომელიც ვითომ 1903 წ. საპოლიტიკო კაბინეტის უფროს დობროვიჩს ბულ-

გარიის რევოლუციონურ კომიტეტისათვის გაეგზავნოს, ბულგარიის სააგენტოს საგანგებოდ დაევალა გამოაცხადოს, რომ ამგვარად წერილი არასოდეს არ დაწერილა და არც დობროვიჩს გაუგზავნია.

**ლონდონი.** ჩერჩილზე დაედამ-ეებს ექვსი თვე ციხე გადაუწყვეტეს.

ასკვიტმა ბერმლეში სიტყვა სთქვა და აღნიშნა: ლიბერალები უკანასკნელად კიდევ თხოულობენ, რომ „ვეტო“-ს უფლება ლორდებსაც ჩამორთვათ, როგორც დედოფალ ანნას გარდაცვალების შემდეგ მეფეს ჩამოერთვაო.

თუ „ვეტოს“ უფლებას შეზღუდავენ, მთავრობა ხალხის წარმომადგენლობის აჩრდილს ნამდვილ წარმომადგენლობად აქცევსო. მინისტრის სიტყვით, რეფერენდუმმა სხვა ქვეყნებშიაც ვერ გაამართლა მოსალოდნელი იმედები.

**ლონდონი.** ნაშუადღევის 4 ს. 45 წ. არჩეულია 90 ლიბერალი, 127 უნიონისტი, 16 მუშათა პარტიისა, 25 რედმონდის მიმდევარი. ლიბერალებს 7 ადგილი შეემატათ, უნიონისტებს—11, მუშათა პარტიას—1.

აირჩიეს სკიპერი ლოუტერი.

**პარიზი.** პარიზში გამოცემულ „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ში მოთავსებულია კრიტოსელ პატრიოტ მიხელდაკის მოწოდება მთელის განათლებულ კაცობრიობისადმი. მიხელდაკი ქრისტიანების სახელით აცხადებს, რომ მჭიდრო ისტორიული და კულტურული კავშირი გვხელმძღვანელობს, რომ კრიტოსი საბერძნეთს შეუერთდესო.

**ვენა.** მასსარიკი ამბობს: ერენტალი ახლა გამოტყდა, რომ ავსტრო-უნგრეთის მისიის მოხელეს ვასიჩნან დამოკიდებულება ჰქონდაო. მდივანმა სვენტოხოვიმ მასსარიკს უჩვენა ის ყალბი საბუთები და როდესაც ვასიჩის ... და იგივე აღმოჩნდა.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა ტავტმა კონგრესს მისწერა, რომ ტრესტების წინააღმდეგ მიმართულ კანონების გამოცემა შეიძლება შევაჩეროთ და ამ საკითხის გარკვევას დაუცადოთო. ჩრდილო-ამერიკის შტატებს ყველა სახელმწიფოებიან მეგობრული განწყობილება აქვს. პრეზიდენტი კონგრესს ავალებს, რომ შეიარაღების შემცირების საკითხი განიხილონ. უცხო-სახელმწიფოებთან ალებმაცემობის საქმე დამაკმაყოფილებელია. პრეზიდენტი დაბეჯითებით თხოულობს, რომ საზღვარ გარედ ბანკები დაარსდეს და ამერიკულ სავაჭრო ნავოსნობას სუბსიდია ეძლეოდეს. 1911 წ. ივნისამდე ხარჯთ-აღრიცხვა 630 მილიონ დოლლარს უდრის. შემოსავალი 680 მილიონია. ახალმა საბაჟო კანონ მდებლობამ შემოსავლის ახალი წყაროები აღმოაჩინა, მაგრამ ამ სესსიაში საბაჟო რეფორმების გაგრძელება შეუძლებელია.

პანამის არხის გაჭრას 1915 წელს დაამთავრებენ.

ამ მიწერილობაში ნათქვამია, რომ საქონელზე საბაჟო გარდასახადი თითო ტონზე 1 დოლლარი დაწესდეს.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის სამხედრო გემის უფროსი მაროკოს დასავლეთ ნაპირების ახლო-მახლო მიდი-მოდიოდა და იარაღის გადამზიდველ კონტრაბანდისტებს ზვერავდა.

რადგანაც დიდი ხანია, რაც ევროპის სამხედრო გემები ამ არე-მარეში აღარ ყოფილან, ამ გემის გამოჩენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ალბად ამანვე მისცა „კელნიშე ცაიტუნგს“ საბაბი, ცრუ ხმების გასავრცელებლად, ვითომც აგდარის ნავთსადგური ფრანგებს დაეჭიროთ.

**ვენა.** „ფრემდენბლატ“-ში ბელგრადის მთავრობის ორგანო „სამოუპრავიდან“ გადაბეჭდილია წერილი, რომელიც სერბიის გაზეთებს ემდურის მასარიკის განცხადების გამოაშკარავებისთვის. წერილში ნათქვამია, რომ სერბიისა და ავსტრო-უნგრეთის კეთილ განწყობილების დასაზღვევად საპაბს არ უნდა ეძებდეთ, მით უმეტეს, რომ ორსავე სახელმწიფოს მეცადინეობით კეთილ განწყობილებაა დამყარებული. ბელგრადში მყოფ ელჩის მოქმედება ავსტრო უნგრეთის შინაური საქმეაო. ერენტალისა და ფორგაჩ-საგან გადაჭრილი პასუხი მოვიდა, რომ ფორგაჩს არამც თუ ვასიჩის მიერ დამზადებულ ყალბ საბუთების შედგენაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, არამედ ვასიჩთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია და არც იცნობდა მას. ვასიჩის საქმეს სასამართლო დიდის წინდახედულობითა და სიფრთხილით იკვლევს. სერბიის მთავრობა, თუ საჭიროდ სცნო, შესაფერ დასკვნას დაადგება. „ფრემდენბლატი“ თავის მხრივ უმატებს: სერბიის მთავრობამ ფორგაჩს განუცხადა, რომ ბელგრადის მმართველი წრეები არასოდეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ვიღაც ვასიჩის მიერ გავრცელებულ სულელურ ცილისწამებას, ვითომც ფორგაჩი, ან რომელიმე მისი ხელქვეითი, ყალბ საბუთების დამზადებაში ეხმარებოდნენო.

**თეირანი.** მეჯლისში კანონ-პროექტი შეიტანეს, რომ შაჰინ-შაჰის ბანკიდან 12 ყურუში კიდევ ისესხონ.

**ჰააგა.** დეპუტატთა პალატა გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოებთან მეტად გულითადი განწყობილება გვაქვსო. რეინის ნავოსნობაზე ბაჟის შემოღების საკითხზე მთავრობას თავის აზრი აქვს შემუშავებული, რომ თავისუფალი რეინი ნიდერლანდების სიცოცხლის წყაროს წარმოადგენსო. სანაპიროების გამაგრების კანონ პროექტი მხოლოდ ნივთიერ უზრუნველყოფისათვისაა წარმოდგენილი. ინგლისს ოფიციალურად ამ კანონ პროექტის თაობაზე არავითარი მოთხოვნილება არ წამოუყენებია. პროექტი არც ერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ არაა მიმართულ, ხოლო ნიდერლანდის დამოუკიდებლობის საფრთხეს გამოიწვიაო.

## რუსეთი

**კამენეც-პოდოლსკი.** დამ-ცხის ინსპექტორმა სიმანოვსკიმ თავი მოიკლა.

**ვარშავა.** უნივერსიტეტის რექტორად პროფესორი ტრიაპიცინი აირჩიეს.

**დერბენდი.** ზღვამ სამი დამრჩვალი მუშა გამორიყა.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო განყოფილების გამგეს თანაშემწის თავმჯდომარეობით რკინის გზათა წარმომადგენლების კრება მოხდა. კრება სახალხო სამხედრო, გადასახლებულთა, სწრაფისა და საქონლის მატარებელთა მიმოსვლას მოწესრიგებაზე ითათბირებს.

კრიკო-შეინის თავმჯდომარეობით სამეურნეო საბჭოს კრება მოხდა. საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რომ ვორონეჟში უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი გაიხსნას, ხოლო ყაზანში სამთამადნო ფაკულტეტი დაარსდეს.

სამოსამართლო პალატამ ჟურნალ „ტემი ჟიზნის“-ს რედაქტორს კლეინბერგს ერთის წლით ციხეში დამწყვდევა მიუსაჯა.

ნევის პროსპექტზე ორი სახლი დაიწვა. 17 ადამიანი იმსხვერპლა.

**კიევი.** მერინგოვის ქუჩაზე ოთსართულიანი სახლი იწვის, სადაც მედვედევის თეატრი და „აპოლო“-ს კაფე-შანტანია მოთავსებული.

**პეტერბურგი.** ოქტომბრისტთა ფრაქციის თავმჯდომარედ, 74 ხმით 26 წინააღმდეგ როდზიანკო აირჩიეს.

# ახალი ამბები

## ტფილისი

**ჩერქეზიშვილის ქუჩა.** კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ავჭალის ქუჩას ჩერქეზიშვილის ქუჩა უნდა დაერქვას, ქალაქის მოურავის, განსვენებულ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

**ტფ. ქალაქის საფინანსო კომისიაში.** პარასკევს, 26 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის კრება მოხდება. კრებამ უნდა განიხილოს ქალაქის ხარჯთ აღრიცხვა მომავალ წლისა.

**„დაშნაკცუთუნის“ საქმე.** მოკლე ხანში ნოვოჩერკასის სასამართლო პალატაში გაირჩევა საქმე 100 კავკასიელისა, რომელსაც „დაშნაკცუთუნის“ პარტიის წევრობას აბრალებენ. ისინი სამართალში მიცემულნი არიან სისხლის სამართლის მე-102 მუხლის ძალით. ზოგი ბრალდებულთაგანი თავმდებით არიან განთავისუფლებულნი. ერთს ბრალდებულს საჰავდებო ფული 100,000 მანეთი აქვს წარდგენილი. ამ საქმის გამო სასამართლოში დაბარებულია 1 500 მოწმე.

**კ. მესხის იუბილე.** ნიჭიერ და დამსახურებულ არტისტის კოტე მესხის იუბილე ტფილისში გაიმართება 21 დეკემბერს, სახაზინო თეატრში. ამის შემდეგ ასეთივე საიუბილეო წარმოდგენები გაიმართება ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და ჭიათურაში.

**გორის მაზრის უფროსად ნამყოფ ბაქრაძის საქმე.** უკვე დასრულდა წინასწარი გამოძიება გორის მაზრის უფროსად ნამყოფ დავით ბაქრაძის საქმისა. საქმე საბრალმდებლო ოქმთან ერთად გადაეცა ტფ. სასამართლო პალატას და გასარჩევად დანიშნულია 14 დეკემბრისთვის. ბაქრაძეს მრავალ ბოროტ მოქმედების ჩადენა ბრალდება სამსახურის დროს. ამ საქმის გამო სასამართლოში დაბარებულია 50 მოწმე.

**ტფ. ტრამვაის საქმეები.** დღეს მოხდება ქალაქის გამგეობისა, ტრამვაის გამგე, იურიდიულ კომისიების წევრთა და ქალაქის კონტროლიორების შეერთებული კრება. კრებამ უნდა გამოარკვიოს თავისი უფლებანი და დამოკიდებულებანი ტრამვაის საზოგადოებასთან.

**ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა.** შაბათს, 27 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირია დანიშნული ქალაქის გამგეობის წევრის არჩევის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ჯერჯერობით ამ თანამდებობაზე დასახელებულია ი. ს. ჯაბადარისა და ი. ნ. ხუნუნცის კანდიდატურა.

**ქართული წარმოდგენა.** მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს ქართულს თეატრში, ლევ ტოლსტოის პატივსაცემლად, წარმოდგენილი იქნება ამავე მწერლის პიესა „ცოცხალი გვამი“ „მეუფება წყვდიადისა“.

**თანამდებობაზე დამტკიცება.** უმაღლესმა მთავრობამ ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწედ დაამტკიცა თავ. ი. გ. ბარათაშვილი, თანახმად თავად-აზნაურთა არჩევისა.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 23 დეკემბერს რამდენიმე სომეხი საზოგადო მოღვაწე გაჩხრიკეს. დააპატიმრეს ბ-ნნი: მელიქ-ბახტამიანი და ა. გასპარიანცი.

**ტფ. ქალაქის გამგეობის მდივანი.** ქალაქის გამგეობის მდივნად მოწვეული იურისტი ი. ა. თამამშევი 23 ნოემბრიდან უკვე შეუდგა ამ თანამდებობის აღსრულებას.

**სასამართლოში.** 22 ნოემბერს, ტფ. სასამართლოს პალატამ გაარჩია საქმე სიღნაღის მაზრის გლეხის ღვთისო ფროდიაშვილისა, რომელსაც მემამულე საფაროვის გაძარცვა და მოკვლა ბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი აღნიშნულ ბრალდებაში და ჩამოღრჩობა გადაუწყვიტა.

**ეტნოგრაფიულ-ისტორიულ საზოგადოებაში.** 21 ნოემბერს, დილისით ამ საზოგადოების წლიური კრება მოხდა ბ. ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. პირველად წაკითხულ იქმნა სია იმ პირთა, რომელთაც შემოსწირეს საზოგადოებას სხვა და სხვა არქეოლოგიური ნივთები. შემდეგ ამისა კრებას მოხსენდა წარსულ წლის შემოსავალ გასავალი. 1 იან. 1909 წ.

# ვინ არის დამნაშავე?

**(ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ამბებისა გამო).**

«თუ ხამირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია».

**ჭალადიდელი.**

როდესაც ქართველების ახალ კულტურულ ძალებზე ვფიქრობთ, უნებლიედ ჩვენი ეროვნული დაწესებულებანი—ქართული გიმნაზიები, გვიდგება თვალწინ. ქართულ გიმნაზიის ყმაწვილ კაცობაში ვეძიებთ ჩანასახს იმ იდეიურ შემომქმედ ძალებისას, რომელნიც ჩაუდგებიან სათავეში მშობლიურ-საზოგადოებრივ საქმესა და გზას აღორძინებისკენ გაუკვლევენ. მაშასადამე, ფაქტი ქართულ გიმნაზიის არსებობისა საბაბს იძლევა დაესკვნა თითოეულ ჩვენგანს, რომ სწავლების საქმე ამ მიზნის მისაღწევად იქნებოდა დაყენებული, და მეორეს მხრივ, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის მტკიცე მეგობრული, სოლიდარული კავშირი იარსებებდა. მაგრამ, ამ რამდენიმე ხნის წინ მომხდარი სავალალო მოვლენა—მოსწავლეთა მიერ მასწავლებლების ხელით შეურაცხყოფა წინააღმდეგს მჭერმეტყველობს. ამ მოვლენას ეროვნული და ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ნებას მივსცემ ჩემს თავს, ამ საკითხს ღრმად შევეხო.

მსჯელობა საჭიროა თვით მომხდარ ფაქტიდან დავიწყოთ. რას მოწმობს იოსებ ვაჩნაძისა და სხვათა დათხოვნა, ან კლასში მეორედ დარჩენა, რომლის შედეგიც მასწავლებელთა შეურაცხყოფა იყო? რასაკვირველია, მხოლოდ ერთს: გიმნაზია არა ნორმალურ მდგომარეობაშია, რომლის წყალობით, მოსწავლეთა წრეში ღრმად ფესვი გაუდგამს გონებრივ მუშაობისადმი ინდიფერენტიზმს, უმეცრებას, სიზარმაცის და უსისტემობას, ერთის სიტყვით, ფსიხიურ გადაგვარებას. კლასში სამ წელიწადს დარჩენა, გაკვეთილების გამოტოვება, მაჩვენებელია სწავლისადმი გულის აცრუებისა. ჯამი-კი უხასიათობისა, ნების სისუსტისა და აზროვნების განუვითარებლობისა წარმოადგენს, როგორც ვსთქვი, ფსიხიურ სიმახინჯეს. მაშასადამე, მთავარსა და არსებითს საკითხს ფსიხიურად გადაგვარება შეადგენს. რაც შეეხება სკოლიდან დათხოვნას (არა ყოველთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც), ან სკოლაში დარჩენას, ეგ დამახინჯების გარეგან გამოსახულებას, ილუსტრაციას წარმოადგენს. ვაჩნაძის დათხოვნა იმდენად საყურადღებოა საზოგადოებრივ თვალთა ხედვით, რამდენადაც ეგ გამომაშკარავებელია ქართულ გიმნაზიაში არსებული სასწავლო რეჟიმისა. რაკი საქმე ამ რთულ საკითხამდი მივიდა,—საინტერესოა ნათლად გამოირკვას, ი. ვაჩნაძის დაღუპვა მართლა წარმოადგენს ფსიხიურად დამახინჯებას, შედეგია სასკოლო რეჟიმისა,—თუ ასეთი კონკრეტული მოვლენა საზოგადო სენს შეადგენს და გავრცელებულია ქართულ გიმნაზიის მოსწავლეებში. ამაზე გადაჭრით ვუპასუხებთ: ი. ვაჩნაძე პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი არ არის; დაღუპულან მრავალნი სხვანი, რომელნიც შეიძლება არ დაუთხოვნიათ, მათ სასწავლებელიც დაუსრულებიათ, უმაღლეს სასწავლებლებშიაც ჩარიცხულან, მაგრამ, მაინც დაღუპულნი არიან. რაში იხატება უკანასკნელთა დაღუპვა? აზროვნების დამახინჯებაში, სწავლისადმი ზიზღით გამსჭვალვაში და სხვ. მაშასადამე, იოსებ ვაჩნაძის დაღუპვით (დაინტერესებულნი ვართ ჩვენც, გასტუდენტებულნიც და საზოგადოებაც, რომელიც უკვირდება გიმნაზიის ოცდა ათის წლის არსებობას და ნაყოფს ვერ ხედავს, რადგან საზოგადოებრივ ასპარეზზე, ორიოდეს გარდა, არც სჩანან აწ აღზრდილი ახალგაზრდები.

აქ კარდინალური ბრალდებაა წამოყენებულია ქართულ გიმნაზიის წინააღმდეგ. იბადება საკითხი, სად და ვისში ვპოვოთ დამნაშავე? არის თუ არა ვაჩნაძე მსხვერპლი ალ. მდივნის „დესპოტიზმისა და ოცის მანეთისა“, თუ ამას ისტორიული წარსული აქვს. ვიყავით თუ არა ფსიხიურად დაღუპულნი, სანამ პედაგოგიურ საბჭოს მოუვიდოდა აზრად ალ. მდივნის მოწვევა და სანამ უკანასკნელი „გულქვაობას“ გამოიჩენდა, როგორც ვაჩნაძე ამტკიცებს.

თ. ქართულ გიმ. მოსწავლეთა ფსიხიურად გადაგვარებას ისტორიული საბამა აქვს. რომ სულიერი თვისებანი აღორძინდეს, ან დამახინჯდეს—საჭიროა ხანგრძლივი დრო. საჭიროა სამისო ატმოსფერა, რომელიც დადებითად ან უარყოფითად აღზრდის ადამიანის ფსიხიურ ცხოვრებას.

მთავარი ფაქტორები, რომელთა ზეგავლენას განიცდის ადამიანი—ოჯახური კერაა, ტოლ-ამხანაგები, სისტემა სწავლებისა და სასწავლო რეჟიმი. ფსიხიურ თვისებების აღზრდის დასაბამი და მთავარი მომენტი ბავშვობის ხანაა. ბავშვობაში ჩაყრილი აღზრდის საფუძველი შემდეგ მტკიცდება, ვითარდება დასრულდება. ეს-კი გრძელდება დავაჟკაცებამდის. ამიტომ ძნელი წარმოსადგენელია, 19—21 წლისას შეუცვლო ხასიათი, რადგან რაც არის, ის რჩება. ამ ხანში გახლდათ იოსებ ვაჩნაძე, ალ. მდივანი რომ ქართ. გიმნაზიას სათავეში დაუდგა. მაშასადამე სწავლაზე გულის აყრა, ან სხვა რამ, რის შედეგიც ვაჩნაძის დათხოვნა იყო, მდივნის მოღვაწეობის გარეშეა, სახელდობრ მოსწავლის ბავშვობასა და სიჭაბუკეში. ბავშვობის ხანას, ქართველი მოწაფეები სკოლაში ატარებენ, ექვსი-შვიდის წლიდან აშორებენ ოჯახურ კერას, მაშასადამე ოჯახის გავლენა მინიმალურია. ვაჩნაძე, ამ სტრიქონების დამწერი და მრავალი სხვა ექვს-შვიდ წლიდან სოფლებიდან ჩამოგვიყვანეს და ქართულ გიმნაზიაში მიგვაბარეს; თერთმეტ-თორმეტი წელიწადი შიგ გავატარეთ და რაც ვართ, ნაყოფია ქართულ გიმნაზიისა. აქედან ცხადია, რომ ქართულ გიმნაზიის წარსულში უნდა ვიპოვოთ ჩვენის იარების მიზეზი.

ჩვენ იმ უბედოთა სიაში ვირიცხებით, რომელნიც დაიბადნენ ბიუროკრატიზმის უმწვერვალესად განვითარების ხანაში. მან დაღი დაასვა თვითეულ დარგს საზოგადოებრივ ცხოვრებისას, მაშასადამე სკოლის სფეროშიც გამეფებული იყო. მართალია, ქართული გიმნაზია კერძო ინსტიტუტი იყო, მაგრამ ამისდა მიუხედავად სულისა და საღ აზროვნების მომშხამველი ატმოსფერა, ფუღიერი ფორმალიზმი, მასშიც ღრმა ფესვს იდგამდა. უპირველესი მოვალეობა ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებისა იმაში უნდა ყოფილიყო, რომ შეძლების დაგვარად შეესუსტებინად სასკოლო რეჟიმი და გამოეჩინათ ადამიანობა, ცოცხალი სიტყვა შეეტანად სწავლებაში. მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. მასწავლებელნი კერძო ცხოვრებაში ჰუმანიურნი, სასკოლო ცხოვრების ფარგალში საოცარ ფანატიკოსობით სიტყვა-სიტყვით ასრულებდნენ მხოლოდ ცირკულიარებს, რითაც დიდი ვნება მოჰქონდათ ქარ. გიმ. მოწაფეებისთვის. ეს იყო ხანა 1895—1902 წ. ქართულ გიმნაზიის არსებობისა. ვანდალური მოპყრობა, ფიზიკურ ძალის გამეფება, როგორც უაღრესი საპედაგოგიო საშუალება, საშინელი კარცერები, საგნების გავლა ბიუროკრატიულ პროგრამებით, აი სპეციალური თვისებანი ქართული გიმნაზიისა 1895—1902 წლებში. ამ დროს მოგვიხდა სწავლა.

რა იყო დეტალებში ქართული გიმნაზია რვა და ათის წლის წინად, როდესაც ვაჩნაძესთან ერთად ჩვენც პირველად ვიწყეთ საანბანო ჭეშმარიტების „ზუთხვა“?

სწავლების სისტემაზე ლაპარაკი მეტია. რადგან ქართული გიმნაზია კოპიოა მთავრობის გიმნაზიისა, სწავლების სისტემაც ასეთივე კოპიო იქნება. საქართველოს ყრუ სოფლებიდან ჩამოყვანილ ბავშვებისთვის ჯოჯოხეთური შეიქმნა გაუგებარ ენაზე გაუგებარ საგნების შესწავლა. პროგრამები დიდი იყო, მასწავლებელი დაინტერესებული იყო სავსებით გაევლო უკანასკნელი, ამიტომ ახსნაც და „შეთვისებაც“ გაკვეთილებისა საოცარ სისწრაფით ხდებოდა. რასაკვირველია, მოსწავლეთა თავში, დიკენსის რომანის გმირის პატარა დომბისა არ იყოს, აირია ყველაფერი ერთმანეთში. პატივცემული პედაგოგები, მის მაგიერ, რომ ხელ-ახალისა და დინჯის ახსნით აღებეჭდათ თავის რიგზე გაუგებარი ტექსტები, ბრაზდებოდნენ და მცირე წლოვან მოსწავლეთ ცემა ტყეპით უმასპინძლდებოდნენ. ერთის მხრივ ავტომატიური „ბოდვა“, მეორის მხრივ, პანდური, კოჩრით ტრიალი და სილები, „ერთებითა“ და კარცერებით შეშინება—უარყოფით იმოქმედებდა ბავშვების ფსიხიკაზე. აი აქ იწყება ჩანასახი ფაქიზ, უმწიკვლო ბავშვის სულის გახრწნილებისა, რომელიც პროგრესიულად ვითარდებოდა და მოგვცა ნაყოფი ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტისა

ასეთ არა პედაგოგიურ ატმოსფერაში მოსწავლეობა ეჩვეოდა ტყუილს, სჭკნებოდა მკვირცხლი აზროვნება, იფერფლებოდა მგზნებარე გული, და ვინ იცის სადამდის მივიდოდა საქმეც, რომ იმ ხანებში არ გამოჩენილიყვნენ რამდენიმე გულ-შემატკივარი მასწავლებელნი და თავიანთ მოქმედებით არ ცდილიყვნენ აემოძრავებინათ მოსწავლეებში ნათელი მხარეები. ესენი იყვნენ: არისტო ქუთათელაძე, ივ. რატიშვილი, მიქაბერიძე და სხვა. პირველი ეროვნულ იდეას გვინერგავდა გულში და თუ აქ მხრივ რამე გვეტყობა, სულ იმის ნაყოფია; მეორე მოქალაქეობრივ თემებზე გვებაასებოდა, მესამე კი სულ ჩვენ დარიგებასა და გახალისებაში იყო. მაგრამ რა უნდა ექნათ სამიოდ-ხუთიოდ კეთილ მსურველს, როდესაც გარშემო ურიცხვი საშუალებანი გვეხვია, გონების დამასახიჩრებელი და გრძნობის დამჩლუნგველი? იქ სადაც ელემენტალური სასკოლო ეთიკა აბუჩად აგდებული იყო, და შეგნებით, დარიგებით მოქმედების ნაცვლად, აღმზრდელ სისტემად მუშტი იყო მიჩენილი,—მოსწავლეთა შეგნებაზე, მსოფლმხედველობის შემუშავებაზე, მოქალაქეობრივობაზე ლაპარაკიც მეტია; ამიტომ გასაკვირველი არც კია. თუ დიდი და პატარა მოწაფე სასწავლებლიდან თავის დაღწევას მანანასავით მოელოდა. ამიტომ არის, რომ ოცდაათის წლის ქართ. გიმ. არსებობას სოფლის მწერლებისა, მოხელისა და სამხედრო პირების მეტი არ ახსოვს. ეს უკანასკნელმა წელიწადმაც დაამტკიცა, როდესაც კურს დამთავრებულთა მეხუთედი სამხედრო სასწავლებელში შევიდა.

სად არის ახლა მიზეზი ამისა? რასაკვირველია, არა მდივნის პოლიტიკაში, არამედ, როგორც ზევით ვამბობდით, 1895—1902 წ. გამეფებულ აღზრდის სისტემაში. ეს თარიღი ბიუროკრატიულ ფორმალიზმის გაძლიერების მაჩვენებელია. აი, სწორედ მაშინ დაგვიხშეს კეთილი სულის კვეთებანი, დაგვისახიჩრეს აზროვნება, ავტომატებად გაგვხადეს. დაგვიბილწეს გრძნობა, ჩაგვინერგეს იჭვი და უიმედობა და ბავშვობიდან მოკიდებული ჭაბუკამ-

სალაროში ყოფილა 10 მან. 85 კ. და წლის განმავლობაში, შემოსულა 5,318 მან. 66 კ. და ამავე დროს ხარჯი ჰქონია საზოგადოებას 5255 მან. 39 კ. ასე რომ 1 იან. 1910 წ. დარჩენილა მხოლოდ 63 მან. 27 კ. წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია 12 კრება, 5—ჩვეულებრივი და 7—საგანგებო. მიმდინარე წლის ხარჯი 2348 მან. 55 კ. კრებამ დაადასტურა. ამავე კრებაზე ბ. თაყაიშვილმა წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: „სამეფო კარის გარიგება საქართველოში". ეს ახალი ხელ-ნაწერი არის მე 13 ან მე-14 საუკუნისა და დიდად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართულ ისტორიის მკვლევართათვის. დასასრულ მოხდა საზოგადოების გამგეობის არჩევნები. გარდა ძველი გამგეობის წევრებისა აირჩიეს ბ-ნი კაკაბაძე, რომელსაც დაევალა აგრეთვე გამგეობის მდივნობა.

◆ **გადასახადთა აკრება.** კავკასიის ნამესტნიკმა წინადადება მისცა სოხუმის ოლქის უფროსს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სანადელო მიწების გამიჯვნის გადასახადთა ასაკრებად შეღავათის მქონე წოდების პირთაგან.

◆ **კავკასიის სამხედრო** ოლქის საინტენდანტო სამართველოს შტაბს-კაპიტანს ალექსანდრე **იოსელიანს** კაპიტანის ხარისხი ებოძა.

◆ **მუხრანის ხიდი.** მუხრანის ხიდზე მოძრაობა დაიწყება 6 დეკემბერს. მუხრანის ბორანი გადატანილ იქმნება სხვა ადგილს, ტექნიკურ ქუჩის პირდაპირ.

◆ **ტფ. ქალაქის თვითმმართველობის** მოსამსახურეთ ნოემბრის **ჯამაგირები ჯერაც** არ მიუღიათ, რადგან ქალაქის კასში ფული არ არის.

◆ **23 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 40 უპასპორტო.**

## ტფ. საბჭოს დარბაზიდან

**როგორც მკითხველთ იციან, ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა, ეგრედ წოდებულმა ოპოზიციამ, რომელსაც სათავეში უდგას რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ხმოსანი არშაკ სურგუს ძე ბაბოვი, გადასწყვიტა, ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე ხმოსან ი. ს. ჯაბადარის კანდიდატურა დაესახელებინა.** ასე ითქვა, მხოლოდ ასრულებით კი ვერ აასრულეს, რადგან საბჭოს კრებაზე, 22 ნოემბერს, როდესაც გამგეობის წევრი უნდა აერჩიათ, მოულოდნელად თავი იჩინა ოპოზიციის ბელადის ახირებამ. დიახ, არშაკ ბაბოვმა ზურგი შეაქცია ამხანაგებს და გადაჭრით მოითხოვა არჩევნების გადადება, რადგან ხმოსანთა ყველა ჯგუფს არა ჰყავს თავისი კანდიდატი დასახელებული. თუ არ გჯერათ, აბა მას მოუსმინეთ:

**ხმ. ბაბოვი.** კანდიდატის დასახელება მხოლოდ ერთმა ჯგუფმა მოასწრო, დანარჩენს ჯგუფებს კი ერთმანეთში კანდიდატის შესახებ ჯერ არ მოულაპარაკნიათ. სამართლიანობა მოითხოვს, სხვა ჯგუფებსაც მივსცეთ საშუალება კანდიდატის დასახელებისა და არჩევანი შემდეგ კრებისთვის გადავსდოთ.

**ხმ. ჯაფარიძე.** თხოულობს ახლავ მოხდეს არჩევნები, რადგან ამ საგანზე 3-4 თვეა ლაპარაკი და ხმოსნებს საშუალება ჰქონდათ მომზადებისა.

შემდეგ იწყება კამათი. ზოგი ემხრობა ბაბოვს, ზოგი არა.

**ხმ. ჯაფარიძე** მე მაკვირვებს ჩვენის ჯგუფის ამხანაგის ა. ს. ბაბოვის საქციელი.

**თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.** აქ არ არიან „ამხანაგები", არიან მხოლოდ ხმოსნები.

**ხმ. ჯაფარიძე** მე პროტესტს ვაცხადებ ხმოსან ბაბოვის წინადადების გამო.

**ხმ. ბაბოვი.** ამისთანა დიდს საქმეში ანგარიში არ უნდა გაუწიოთ რომელიმე ჯგუფის ქინიანობას მით უფრო, რომ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესები ფეხქვეშ იქელება. რაც შეეხება იმას, არსებობს თუ არა სხვა და სხვა ჯგუფი, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ხომ არსებობდა წინად, მაგალითად, „სასახლის ნომრების" პარტია და სხვ. რა არის ჯგუფი?..

**თავმჯდ. ხატისოვი.** პატიოსანს სიტყვას გეუბნებით, რომ მე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს ხმოსანთა რაიმე ჯგუფებზე (საერთო სიცილი.).

ბოლოს, რასაკვირველია, გაიმარჯვა ხმ. ბაბოვმა მარჯვედ ნახმარის ფანდით, და „სამართლიანობისა და მთელის ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად" საბჭომ 27 ხმით 24 წინააღმდეგ არჩევანი მომავალ კვირისთვის გადასდო.

რა სარჩული ედო არშაკის ამ საქციელს, რასაკვირველია, ეს ახლაც საიდუმლოებით არის მოცული, თუმცა ავი ენანი არ სცხრებიან და ამბობენ: ბაბოვს თვით სურს ეს ადგილი. მას სხვა კანდიდატი ჰყავს ფარულად და სხვა.

მაგრამ მოვიცადოთ ცოტაც და იქნებ სიმართლე ჩქარა გამოირკვეს.

## პატარა ფელეტონი

### ბოლოდან თავამდე

ნახა ხარკოვი,
და კვლავ ბაბოვი
ტფილისისაკენ მოეშურება,
თვითმმართველობის,
სკამი ხმოსნობის
ძველებურადა მოეწყურება.
და როს ქალაქსა,
მის ეზო-კარსა,
ჩაგრულთ ერთგული მოეწურება,
ის უწინარეს,
„უპრავის" მხარეს,
ვითა არწივი გაიყურება.
„—სტანჯავენ ხალხსა,
„—აძრობენ ტყავსა",
ყოველ უბნიდან მას ეყურება.
და მცველი ხალხის,
ჩუმად იძახის:
—ვაჰ, რა მოსვლიათ უბედურება!
რაღა კვიცია,
ოპოზიცია
მათი ხსნა თუ არ მოესურება?"
და გაქნილ ენით,
შორიდან რქენით,
ჰკიცხავს მათ,—თითქოს დემდურე-
ინათლებს რა-კი, | ბი.
ჩვენი არშაკი
„უპრავისაკენ" გაეშურება.

—

გაიხსნა სხდომა,
(ინებეს ჯდომა)
კოხტად გამწკრივდენ ბრძენი ხმო-
და დაპირებულს, | სნები,
გაზეპირებულს.
სიტყვებს ლექსავენ ვითა მგოსნები.
მაგრამ მშვიდობა,
ენა-ტკბილობა
უცბად დაირღვა, ასტყდა განგაში,
იდავეს, ჰსაჯეს,
სრულად დახარჯეს
რაც რამ ეყარათ ჰკუის აბგაში.
ოპოზიციას,
სიტყვებს ვით ტყვიას
ძლიერთა ბლოკი წამოუშენდა,
(ალბად პირადი
საქმისა დარდი
ან განდიდების ნდომა ურქენდა!)
ამ დროს არშაკი,
„რეჩთა" თოფრაკი
ზე წამოიჭრა და... ამეტყველდა,
ეკვეთა ბლოკსა,
წარმართად მტოკსა,
მყის აუტეხა გოგრისა ელდა.
—ვიშ, რა კაცია,
—რა მამაცია!
ხალხში იქა-აქ გაისმებოდა,
ორატორს მასა
უქებდენ თქმასა,
მას-კი,—მელურად ეცინებოდა.
ჯერ ორი სკამი,
რყევისა ჟამი,
შემდეგ „თავობა" ელანდებოდა.
სხვაფერ მღეროდა,
მტკიცედ სჯეროდა
განზრახვა თვისი აუხდებოდა.
ხელს აილებდა...
ვინ გაიგებდა
ხალხს თუ მით რამე წაუხდებოდა.

—

არჩევნებია...
რაც ხმოსნებია,
დუმის დარბაზში შემოკრებილა,
(ვითომდა ჰნჩაკის,
ჩვენი არშაკის
უკვე გათენდა გამოცდის დილა).
მჭუხს თავ-მჯდომარე
„რეჩ"-მიანარნარე,
სხაპა-სხუპითა მოუბარია,
დაისვა კითხვა,
კიდევაც ითქვა,
რომ კანდიდატი,—ჯაბადარია.
სინჯავენ სიას,
ოპოზიციას,
საქმე კარგად აქვს,—ხმა უმრავლესი,
არი მათკენა,
ვერ ავნებთ რქენა
თუ არშაკმაც შეუწყო ლექსი.
მაგრამ გმირობა
და ერთ-პირობა
არ შეშვენოდა ჩვენსა ბაბოვსა,
სწუხს, იტანჯება,
ვაჰ, იპრანჭება
სულ ულაზათო სიტყვებს აქსოვსა.
ბლოკსა სწყურია,
საამურია,
ეგ არჩევანი დღეს გარდაიდოს,
რომ ჯაბადარის
შეუპოვარის
დამარცხებისა დრო ხელთა იგდოს.
და ურცხვად ამბობს
„—ვინც ჩვენა გვეთანხმობს,
დღეს არ აირჩეს ასარჩეველი,
ჩვენთან ძმურადა,
მეგობრულადა
მოურიდებლად ასწიოს ხელი!"
ადგა არშაკა,
ჩაარაკრაკა
„რეჩი", და მათი დაადასტურა...
ოპოზიცია
რაღა კვიცია,—
აგერ, მათ შორის გამოხდა ტურა!
და... გადაიდვა...
მამამ თავს იდვა:
ჰყავდეს სახეში ვითარცა შვილი,
თუ იკატ-ტურებს,
დაიმსახურებს
ჯილდოდ უბიძოს ორდენი წყვილი.
მანაც შეჰფიცა
პირობა მისცა,
რომ სამსახურსა შეალევს ჯანსა...
ეჰ, ჩემო ძია
ოპოზიცია,
გზა დაულოცე არშაკაჯანსა!

**ტლანკაძე.**

## ავლაბრის ვითარება.

**სახალხო წარმოდგენების უქონლობა.**

ვინ არ იცის, რომ ავლაბარი, როგორც ტფილისის განაპირა უბანი, დაშორებულია შუა-გულ ქალაქს და იქაურ ყოველ გვარ გასართობებს. აქეთ მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს მშრომელი, მუშა ხალხი, რომელიც მთელ ცისმარე დღეს ფაბრიკა ქარხნებისა და დღიურ მუშაობაში ატარებს დროს, ლუკმა პურის საშოვნელად. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ღარიბ-ღატაკი ხალხი ყოველთვის მოკლებული იქნება ყველა გონების გასართობს, რადგანაც შეძლება ნებას არ აძლევს შუა-გულ ქალაქის გასართობებში იაროს და ესეც, რომ შეეძლოს, აბრკოლებდეს მაინც არ შეეძლება, რადგან სახლში მოსვენება' უფრო რჩეობს, ვიდრე ამ სიშორეზე სიარულს. ამ სიშორე გზაზე რა ხიფათს არ წააწყდება ღამე სიარულის დროს. მით უმეტეს, რომ „ყველას" თვალში თითით საჩვენებლად არის გამხდარი „შავი ხალხი". ცოტა მიზეზიც კი კმარა, რომ არხანგელსკი და ორენბურგი აქეთ დარჩეს.

შეიძლება იფიქრონ, რამდენად მეტი სახალხო წარმოდგენები გაიმართება ქართულ ენაზე ტფილისის განაპირა უბნებში იმდენად მეტ ზარალსა ნახავს ისედაც გაღარიბებული დრამატიული საზოგადოება. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ავლაბრელებზე ასეთი წარმოდგენა სრულიად უსაფუძვლოა, რადგან თუ ვინმე კარგად დააკვირდება, ავლაბრიდან სრულიად არავინ დაიარება ქართულს თეატრში და თუ ვინმე დადის. ისიც სათვალავში მოსატანი არ არის, რადგან მათი რიცხვი თითებზე დაითვლება და ისინი ეს არც ლხინსა და არც ჭირში არაფრად უნდა გამოადგეს დრამატიულ საზოგადოებას.

მართალია, ავლაბარში იმართებოდა ხოლმე ქართული და სომხური წარმოდგენები უკანასკნელ ექვს წლის განმავლობაში, მაგრამ ვაი, ამ გამართვას! ადგილობრივი სცენის-მოყვარენი ყოველ გვარ ენერგიასა და საშუალებას ხმარობდნენ, ოღონდაც წარმოდგენები ხეირიანად წასულიყო. მაგრამ რადგან ამათ ავლაბრელი საზოგადოება და ინტელიგენცია არ ეხმარებოდნენ, მარტოკად საქმის გაძღოლას ვერა ასრულებდნენ.

ავლაბარში სომხურ წარმოდგენების საქმე ქართულზე უფრო ხეირიანად იყო დაყენებული, რადგან მათ დამხმარენი ყოველთვის უჩნდებოდნენ. ყოველ-გვარი საქმე, თუ ათავეში გამოცდილი კაცი არ უდგას, ცხადია, სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს და ჩქარა სიცოცხლეც მოსწყდება. სომხურ წარმოდგენებს მართავდა 1904 წლიდან იკისრა ხელოვნების მოყვარემ ბ. არაქსიანმა. მართალია, პირველში სომეხთა საზოგადოება გულ-მოდგინით მიეგება, რომ თვით დირექტორს ბ. არაქსიანს არ ეღალატნა საქმისათვის და ფულის მოგების საღერღელი არ აშლოდა. ძვირის ფასების გადახდა ვერ შესძლეს ავლაბრელებმა და გული აიცრუვეს სომხურ წარმოდგენებზე სასიარუ-

დის ერთგულ თანამგზავრად ნაღველი მოგვიჩინეს. „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვისთვის ყოველი შრომა დაკარგულია". ეს მარგალიტი ჭეშმარიტება პოეტისა ჩვენზეა ზედ გამოჭრილი. საძირკველი, ე. ი. ჩვენი აღზრდა ბავშვობაში ყალბი იყო, დამახინჯებული, და რა ექნა ალ. მდივანს, თუ მას კედლების აშენება ვერ შეეძლო, თუ ვერ გამოგვიცვალა ფსიხიკა! „საძირკველი დანგრეულია", მაშ რა არის, როდესაც იოსებ ვახნაძე შრომის მოყვარე იყო, ბევრს მეცადინეობდა, მაგრამ უნაყოფოდ რით ავხსნათ, რომ ის მთელის დღეობით წიგნს უჯდა, ბოლო ხანებში ნამეტეავად, მაგრამ ჩაკითხულს ვერ ითვისებდა. „თუ საძირკველი დანგრეულია", აი ახსნა. ფსიხიკა ბავშვობაში აღზრდით თუ დაჩაგრულია, შემდეგი ცდა ვერას უშველის, „მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია",—აი საბუთი, ნათელი არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ „ოცი მანეთის" და ალ. მდივანის „გულ ქვაობით" კი არ დაიღუპა ვახნაძე, არამედ იმითი, რომ ცუდი აღზრდა მიიღო ქართულ გიმნაზიაში, როდესაც ალ. მდივანი არ იყო სკოლის სათავეში.

იოსებ ვასნაძე პატიოსანი იყო, მოტყუება მის ხასიათში არ იყო, მუშაობდა, მარამ არაფერი გამოსდიოდა. მეორის მხრივ ბევრნი იყვნენ, რომელნიც არაფერს აკეთებდნენ და მოტყუებით, ათას გვარ მახინაციებით გადადიოდნენ კლასიდან კლასში და ამთავრებდნენ გიმნაზიას. ნუ თუ ისინი ცხონებულთა და არა-ოაღუპულთა რიცხვს ეკუთვნიან? მოტყუება, ეშმაკობა იმავე გათახსირების მაჩვენებელია, და ნაანდერძევი წარსულ აღზრდით. მაშასადამე ისინი სკოლიდან გავიდნენ, არ დაუთხოვნიათ, მაგრამ ცხოვრებაში, ან უმაღლეს სასწავლებელში გააკეთებენ, დაამჩნევენ კვალს? არა და არა. ამას მოწმობს ქართველი სტუდენტობა, რომელთა ლექციები ბანქოებია მაშასადამე დაღუპულები ისინიც ყოფილან ამ სიტყვის ფსიხოლოგიურ და არა ფორმალურ მნიშვნელობით. აქაც შეიძლება ითქვას: „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია".

ეს კარგა ესმოდა ალ. მდივანს, როდესაც ჩაიბარა ქართული გიმნაზია. პაერში კოშკის აშენებას წარმოიდგენდა წარსულ აღზრდით გაკაწრულთა დამამახინჯებულთა გასწორება; ამიტომ მთელი თავისი ყურადღება პაწაწა, ახლად მიბარებულ მოსწავლეებს მიაქცია, ჩვენ ჩვენის არსებობით ქართულ გიმნაზიაში დისონანსი და პატარებზე დამღუპველი გავლენა შემოგვქონდა. მდივანი უფროს მოსწავლეებს იმედდაკარგულად უყურებდა, რაშიაც მართალი იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, სულ ხელი აეღო ჩვენზე, არ ცდილიყო ჩვენს გასწორებას.

ქართულ გიმნაზიაში ჯერ შიო ჩიტაძისა და შემდეგ ალ. მდივნის დამკვიდრებით აღზრდის საქმის კურსი გამოიცვალა. ამაზე ქვევით, ჯერ მიუბრუნდები ზემოდ არ-ნაჩვენებ ახალ ფაქტორებს, რომელნიც ალ. მდივნისა და შიო ჩიტაძის მოსვლამდის დამღუპველად მოქმედებდნენ და ღრმავებდნენ მოსწავლეთა ფსიხიურ დამახინჯებას. ეს გახლდათ პანსიონი. თუ გარედან მოსიარულეზე მხოლოდ სასკოლო რეჟიმი მოქმედებდა, პანსიონერზე ამის გარედ კიდევ სპეციფიური პანსიონის ატმოსფერა მოქმედებდა, და რადგან პანსიონერთა რიცხვი მოსწავლეთა მეოთხედს შეადგენდა. გარედ მოსიარულე — გაკვეთილების გათავების შემდეგ ქალაქში ბრუნდებოდა, მაშასადამე შეეძლო ახალ შთაბეჭდილების მიღება და სასკოლო რეჟიმი მასზე ნაკლებ იმოქმედებდა. ეს არ ითქმის პანსიონერებზე, რომელნიც სწავლის გათავების შემდეგ ოთხკედელშუა იყვნენ ჩამწყვდეულნი, ვახნაძე და მრავალი ჩვენთაგანი პანსიონერები ვიყავით.

მკითხველის ყურადღებას პანსიონზე იმისთვისაც მივიქცევ, რომ პროცენტის მხრივ უკანასკნელთა შორის ბევრად მეტია სწავლის საქმეში ჩამორჩენილნი. როდესაც პანსიონი დაიხურა და დღესაც რომ შევადაროთ ქართულ გიმ. ყოფილი პანსიონერები გარედ მოსიარულეებთან,—ჯანმრთელობითაც, გონება გახსნილებითაც მეორენი მაღლა სდგანან. დიახ, რაც სასკოლო სენმა დაგვაკლო, პანსიონმა შეგვივსო. რა იყო სპეციფიური თვისება პანსიონისა? პასუხი: უფროს მოსწავლეთა გაბატონება უმცროსებზე.

პირველ შეხედვით ეს პარადოქსად ეჩვენება ადამიანს, მაგრამ არსებითად ეს ასეა. სკოლის ინსპექცია არ იმდენ ყურადღებას აქცევდა პანსიონს, რამდენად ამას მოითხოვდა საოჯახო საკითხი ე. ი. ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა და სხვა. ფაქტიური ინსპექცია და აღმზრდელები იყვნენ ერთის მხრივ უფროსი მოსწავლენი, მეორის მხრივ მოსამსახურენი, რომელნიც სულთანის ცოლებზე, საყვარლებზე და ყოველ სისაძაგლეზე ემასლაათებოდნენ 10—10 წლის მოსწავლეთ. ამას რაც მოჰყვებოდა, და რაც მოჰყვა, საგანს ამ წერილისას არ შეადგენს. გადავიდეთ მაშ უფროს მოსწავლეებზე. ბავშობაში უფროს პანსიონერებს იგივე ეკლიანი გზა გამოევლოთ, რასაც მცირე წლოვანი აღგნენ. ცემა-ტყეპაში აღზრდილნი, რასაკვირველია ამითვე უმასპინძლდებოდნენ და თითქოს ჯავრს იყრიანო პატარა მოსწავლეებზე, მცირე მიზეზისთვის ვაი-ვუის აძახებინებდნენ. (ნუ გგონიათ, აღმზდელები არ გვყოლოდნენ მასწავლებლებიდან, მაგრამ ესენი ფიქტიურნი იყვნენ), გვაჭიდავებდნენ და გვაკრივებდნენ. ასე რომ ნამდვილი ბატონ-პატრონი ჩვენი უფროსი მოსწავლენი იყვნენ. ამით აიხსნება კურიოზი, რომ როდესაც „აღმზრდელი" მასწავლებელი ვერ გვამშვიდებდა, „აღმზრდელ"-მოსწავლეს იბარებდა. უკანასკნელის ფეხის შემოდგომა და გაჩუმება ერთი იყო. ყოველთვის— გაკვეთილების მომზადების დროს, სასადილოში, საწოლ-ოთახში უფროს მოწაფეებს ვებარეთ და ესენიც ვანდალურად გვეპყრობოდნენ. რასაკვირველია თვითეულ მათგანს ჰყავდა „ფავორიტი"; ეტყოდა ამან და ამან მაწყენინა, მყისვე საბრალოს იბარებდნენ და საშინლად სცემდნენ. ეს კი ანვითარებდა პირმოთნეობას, ორპირობას, შურსა და გულჩათხრობილობას.

ადმინისტრატიული უფლება უფროს მოსწავლისა განუსაზღვრელი იყო. შეეძლოთ მთელის კვირაობით სადილი არ ეჭმევინებინათ, შუაღამემდე გახდილი საწოლთან დაეყენებინათ სასჯელის ნიშნად და სხვა. ქრონიკულ შიმშილს განვიცდით, მიუხედავად იმისა, რომ ოცთუმნობით შეჰქონდათ ჩვენს ღარიბ მშობლებს. აქ იწყებოდა პურის მოპარვა და ჩუმად კუთხეში მიმალულად ჭამა. ფსიხიურ დამახინჯებას ერთი მხარეც ემატებოდა,—ქურდობა. ასეთ პირობებში მყოფს მოვეთხოვდით, გვესწავლა ხალისით, გვემხიარულნა და ჯანმრთელობა შეგვენახა. დღითი დღე გუბდებოდა შურის ძიების გრძნობა მოსწავლეთა პატარა გულში. რანაირად ვნატრობდით; ღმერთო ეს უფროსი მოსწავლე მოჰკალიო, და სხვა... ინსპექცია? იკითხავთ გაოცებული. ინსპექცია ამას ყურს არ ათხოვებდა, ის სხვა აზრით იყო გარემოცული: უნდოდა საზოგადოებისთვის დაენახვებინა, ყველაფერი რიგზეაო ამიტომაც გულუბრყვილო აზრია ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული, რომ ქართულ გიმნაზიის არსებობას 1895—1903 წლამდის ოქროს ხანად აღიარებენ, შემდეგ კი მას ჯვარს უსვამენ. რამდენად შემცდარია ეს აზრი!.. რამდენად „ოქროს ხანად" ხდის ქართ. გიმნ. 1895—1902 წ. არსებობას როდესაც ასეთი საშინელი სურათი იშლებოდა პაწაწა ბავშვების წინ!— ერთმა უფროსმა ხ—ილმა გულის მოსაფხანად 8—9 წლის „პანსიონერს ჩახადა ქვედა საცვლები და დაგრეხილ პირსახოცით მანამ ურტყა, სანამ მთლად არ დაალურჯა. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია ბავშვის სულის კვეთება, როდესაც მაინ რიდით აღგზნებული ამერიკასა და ინგლისს ეშურებოდა. რამდენი გაპარული პანსიონერი დაიჭირეს ბათუმის ნავსადგურში.

ამდენ ხანს შევრჩერდი ქართულ გიმნაზიის სასკოლო ატმოსფერაზე 1902 წლამდის, რომ ნათლად გადაჰშლოდა მკითხველს უმთავრესი ფაქტორები მოსწავლის აღზრდისა და ძირითადი ეტაპები მის ფსიხიურ გადაგვარებისა. ამის წარმოდგენა გაადვილებს იოს. ვახნაძის სულის კვეთებას, მიზეზს დაღუპვისას და იმას რამდენად ზნეობრივად მართალნი ვიქნებით, რომ საზოგადოების მიერ შექმნილ დუხჭირ ცხოვრებ-თ დაღუპული მართმსაჯულების წინ წავაყენოთ. ალ. მდივანი უდანაშაულოდ შეურაწყოფილია, მაგრამ არსებითად შეურაწყოფილია წინა მორბედ კოლეგების მოქმედებით. ვახნაძემ შეურაცხყო ალ. ბესარიონის ძე არა როგორც განსაზღვრული პიროვნება, რომლის ჯავრი სჭირდა, არამედ ვისზედმე უნდა ამოეყარა ჯავრი და პირველ შეხვედრილი ინსპექტორი აღმოჩნდა. ეს კი ფსიხოლოგიურის თვალთახედვით გასაგებია. კაცმა ითმინა, ითმინა, ამ თმენით თავი გამოილაყა, გული გამოიფშვნიტა, გაწყდა მოთმინების ძაფი და მოხდა ის, რაც ბეჩხერის ცნობილ სოციალურ დრამაში მუშას მოუვიდა. კაპიტალისტის რეჟიმით გაცოფებული, გადასწყვიტეს შურის-ძიება, მაგრამ მისგან დანით დაჭრილი გამოდის დაჩაგრულთა ერთგული, გულწრფელი მეგობარი—პასტორი ბალდერი. როდესაც კითხულობთ ან სცენაზე ისმენთ ამ დრამას, ვის მოუვა აზრად, დასაჯოს დაჩაგრული მუშა, რომელსაც ნამდვილი მტერიც ვერ შეუგნია. მისდამი მხოლოდ შეცოდებას ვიგრძნობთ. ანალოგიურ შემთხვევას წარმოადგენს ვახნაძის ინციდენტი. თუ ბეტხერის მუშის მოქმედება ეკონომიურ ექსპლოატაციის ნაყოფია, ვახნაძის მიერ ჩადენილი საქმე სულიერ დამონავების, დაჩაგვრის შედეგია. ალ. მდივანი სასკოლო სფერაში იგივ ბალდერია, იგივ მღაღადებელია ახალ პედაგოგიურ ჭეშმარიტებათა და ერთგული მეგობარი ქართველ ახალგაზრდობისა. მაშასადამე ბალდერისებური საქმე ევალება უკანასკნელს. სრულებით აპატიოს ვახნაძეს და ეცადოს მის ციხიდან დახსნას. ვახნაძემ თავის, მართლა და ულაზათო საქციელით, ნიღაბი ახადა ქართულ გიმნაზიაში გამეფებულ დამამახინჯებელ აღმზრდელ სისტემას.

1895—1902 წლ. თვით ის ფაქტი, რომ შეურაცხყოფილ იქმნა ადამიანი, რომელიც ესწრაფოდა აღმოეფხვრა წარსულ აღზრდითა და ატმოსფერით ჩანერგული დამღუპველი კვალი, რას მოწმობს თუ არა შეუგნებლობას. დიაღ, შეუგნებლობაა, თეთრის შავად ცნობა, მეგობრის მტრად აღიარება და იდუმალ, მიმალულ მტანჯველის, დამღუპველის ნაცვლად, გულახდილ კეთილის მსურველზე შურის-ძიება. მაგრამ ვახნაძე ამ მხრივ ობოლ შემთხვევას არ წარმოადგენს. მოწაფეების სამმა მეოთხედმა ვერ გაიცნო ალ. მდივნის პიროვნება, ვერ გაიგო მისი პედაგოგიური credo და ამის გამო ვერ დააფასა ღირსეულად.

ლოდ. მაშინ არაქსიანაც თავი დაანება.

არაქსიანის შემდეგ წარმოდგენების ბედ-იღბალი ადგილობრივ ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილ სცენის-მოყვარეებს ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ მათ არასოდეს არ წაუყვანიათ საქმე ხეირიანად და ვერც შემდეგში წაუვიდოდათ უმეთაუროდ, რომ წარსულ წელს ხელოვნების მოყვარე ამო ხარაზიანი არ აღმოჩენოდათ. თუმცა ამასაც დიდი საღერღელი ჰქონდა აშლილი ფულის მოგებისა. მაგრამ რადგან წარმოდგენები სისტემატიურად იმართებოდა და მწყობრადაც მიდიოდა, ავლაბრის სომხობა თანაუგრძნობდა და თეატრის დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო ხალხით. დღესაც ბ. ამო ხარაზიანი უდგას სათავეში ავლაბრის სომხურ სცენის მოყვარეთა საქმეს.

ხოლო რაც შეეხება ქართულ წარმოდგენების ბედ-იღბალს და სცენის-მოყვარეთა დასს, ამის არც ქება შეიძლება და არც გინება. ქება არ შეიძლება იმიტომ, რომ ქართულ წარმოდგენების მართვა არასოდეს გამოცდილისა და გავლენიან პირის მეთაურობით არ ყოფილა, რაც ხანია ავლაბარში სახალხო თეატრი არსებობს, ძაგება არ შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ თუ კი იმართებოდა ხოლმე წარმოდგენები, ისევ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ძალღონით იმართებოდა; ესენი ფიზიკურ ძალასთან, ქონებრივ ძალასაც არ იშურებდნენ. მაგრამ რადგან წარმოდგენების საქმე სისტემატიურად ვერ იყო დაყენებული და სათავეშიაც მცოდნე-გავლენიანი პირები არ უდგნენ, ხალხი სულ ნაკლები დაიარებოდა და ამით ყოველთვის ზარალში იყვნენ სცენის-მოყვარენი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ წარმოდგენებს უფრო მეტი ხალხი უნდა დაესწროს ვიდრე სომხურზე, რადგან ქართველებ გარდა სომხურს არ მცოდნე სომხებიც დაიარებიან, მათ მაინც ყოველთვის ზარალი ჰქონდათ და ქართველი სცენის მოყვარენი ყოველთვის თავიანთის ჯიბიდან აყრიდნენ.

ერთის სიტყვით, არავინ არა ჰყოლია პატრონად წარმოდგენების საქმეში ავლაბრელებს და არც დღესაც სჩანს ვინმე, რომ მოუწყოს ქართულ წარმოდგენების საქმე. კარგა ხანია, თითქმის თვეზე მეტია, რაც სომხურ წარმოდგენების სეზონი დაიწყო და ქართული კი ჯერ არავის არაფრად აგონდება.

იმედია, ასეთ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ან ქართველი ინტელიგენცია, ან და დრამატიული საზოგადოება და მოაწყობს ქართულ წარმოდგენებს ავლაბარში. ამით, რასაკვირველია დიდ სამსახურს გაუწევს აქაურ ღარიბ მცხოვრებთ, რადგან არც საშუალება და არც გარემოება ხელს არ უწყობს ქართულ თეატრში სიარულად. ავლაბარში მცხოვრებთა უმრავლესი ნაწილი გაუნათლებელი ხალხია და თავისუფალ დროს ისეთ წამხდარ და მავნე საქციელებს ანდომებენ, როგორიც არის მაგალითად: ყუმარის და ბანქოს თამაში, ქურდობა და უშვერს სიტყვებით ლანძღვა გინება. ყველა ამის თითქმის ბუდეა ავლაბარი. არც პატარაობიდანვე ეტყობოდა, საზოგადოებისათვის მავნე ელემენტი იქნება.

ჰო, და ამისათვის მართებს ქართველ მოწინავე საზოგადოებას, რაც შეიძლება დროით მიჰხედოს ავლაბარს და სხვა თუ არა, სახალხო წარმოდგენები მაინც მოაწყოს. მაშინ ადვილად შეიძლება, რომ წარმოდგენებზე სიარულით, ავლაბრელები ბევრად გამოკეთონ და დასთმონ არა ადამიანური საქციელი.

**ავლაბრელი ნინია.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 21 ნოემბერს, დრამატიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა პირველად ახალი ოთხ მოქმედებიანი ტრაგედია შვაიერისა „ნიშანი ყოფა-ქცევაში", თარგმანი ი. მალაქიაშვილისა. ეს წარმოდგენაც იმ წარმოდგენათა რიცხვს უნდა მიეწეროს, რომელთაც, როგორც თავის შინაარსით, ისე შესრულებით დაატკბეს საზოგადოება.

პიესა „ნიშანი ყოფა-ქცევაში" ეხება მეტად მწვავე საკითხს, ახალგაზრდობის უკუღმართად დაყენებულ აღზრდას, როგორც შინ, მშობლებთან, ისე სკოლაში, მასწავლებლებთან. მეხუთე კლასის მოწაფეს ფელიქსს აითვალწუნებს და გადაემტერება მასწავლებელი (ენგლერი, კაცი, მახინჯი ფიზიკურად და ღუხჭირი სულიერად. მას სურს ჩაჰკლას ფელიქსში ადამიანური სული, ნება და ყურმოჭრილ მონად, უენო პირუტყვად, ტიკინად გადააქციოს. ის მუდამ უდანაშაულოდ სდევნის ფელიქსს და შემთხვევას ეძებს, რომ დასტუქსოს, დასაჯოს, ყოფა-ქცევაში ცუდი ნიშანი დაუწეროს და კიდეც დაითხოვოს სასწავლებლიდან; და როდესაც ასეთი შემთხვევა მიეცემა, სიხარულით ცას დაეწევა. ასეთია ყმაწვილის მდგომარეობა სასწავლებელში. მაგრამ ამაზე კიდევ უარესია მისი მდგომარეობა მშობლების სახლში. მამა მისი ლეონარდ ულლერი, კაცი გაიძვერა, უფროსებისა და გავლენიან ბობოლების ფეხთა მტვერის მლოკველი მხოლოდ თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მზრუნველი, სულიერ მოთხოვნილებებს კი სრულიად მოკლებული,—ნამდვილი ჯალათია თავის შვილისა: დატუქსვა, დასჯა, ლანძღვა-გინება, მთელი დღეობით უჭმელ-უსმელად დატოვება, ცემა ტყეპა—ი, მისი მამობრივი მზრუნველობა თავის ერთად-ერთ ვაჟზე. ეს გრძნობიერი ყმაწვილი იმდენად დაუმონებია ტირან მამას, რომ პირდაპირ თვალებში შეხედვის ნებაც კი არა აქვს. ლეონარდსა სურს, რომ ყმაწვილი ყველაფერში ემორჩილებოდეს მასწავლებელს; იმას კი არ კითხულობს, თუ როგორ ექცევა მას მასწავლებელი; ერთხელაც კი არ გამოელაპარაკება მას ადამიანურად; ერთხელაც კი არ ჩაიხედავს ყმაწვილის გულში და არ გაიგებს, თუ რა ცეცხლი ტრიალებს იქ. დედის მარითაც მოკლებულია საბრალო ყმაწვილი მშობლიურ ალერსსა და სიყვარულს. დაჩოქილი, თვალ-ცრემლიანი ევედრება ის დედას—მომეალერსე, თავზე ხელი მომისვიო, მაგრამ უკანასკნელი ვერ ჰბედავს, ქმრისა ეშინიან..

ყმაწვილს ყოფა-ქცევაში ცუდი ნიშნის დაწერასა და სასწავლებლიდან დათხოვნას უპირებენ ჰელგლერის სიტყვის შეურაცხყოფისათვის. ინიშნება პედაგოგიური საბჭოს სხდომა, რომელმაც უნდა გამოიძიოს ფელიქსის დანაშაული. შემოიყვანენ ფელიქსს საბჭოს დარბაზში და უცხადებენ, თუ გინდა, რომ გაპატიოთ დანაშაული, ჰენგლერის წინაშე ბოდიში მოიხადეო. ყმაწვილი აცხადებს, მე სრულიად უდანაშაულო ვარ ჰენგლერის წინაშეო. უძახიან მოწმეს—მოწაფეს პავლე პოლესტს, რომელმაც წინად განაცხადა, ფელიქსი სრულიად უდანაშაულია, მასწავლებლის მას ტყუილად სდევნის.—ყმაწვილს, რასაკვირველია, შეეშინდება მასწავლებლის პირში გამტყუნება, ისიც პედაგოგიური საბჭოს თანადასწრებით, და იმეორებს მას, რაც მისთვის ჰენგლერს უბრძანებია: ფელიქსი დამნაშავეა, მან შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელსაო. ასეთი მოულოდნელი ჩვენებით თავზარ-დაცემულ ფელიქსს მუხლები ეკეცება და დირექტორის ნებართვით სკამზე დაეშვება. მეტი გზა აღარ დარჩენია საცოდავ ბავშვს: ბოდიშს იხდის ჰენგლერის წინაშე და „დანაშაულის" პატიებასა სთხოვს. ჰენგლერი მისი ბოდიშით არ კმაყოფილდება; მას სურს სულ მიწასთან გაასწოროს ყმაწვილი და მოსპოს მასში ადამიანური გრძნობის ნასახიც კი. მაგრამ ამ დროს ფელიქსს გამოესარჩლება პედაგოგიური საბჭოს ერთადერთი ნათელი წევრი, ექიმი მეალდერიხი, რომელიც ხედავს ყმაწვილის სრულს უდანაშაულობას. ის მოურიდებლად ჰკიცხავს, ჰგმობს, მიწასთან ასწორებს, როგორც გაიძვერა ჰენგლერს, ისე მთელს პედაგოგიურ საბჭოს, ამ უსულ-გულო ადამიანთაგან შემდგარს, მოზარდ-თაობის გამხრწნელ—დამამახინჯებელ ორგანოს, და ნებას არ აძლევს ფელიქს, რომ კვლავ ბოდიში მოიხადოს ჰენგლერის წინაშე. ვალდრიხსაც, რასაკვირველია, სასწავლებიდან ითხოვენ.

მამა ჩაჰკეტავს ფელიქს ოთახში და უსმელ-უჭმელობით სტანჯავს. ის იმის ნებასაც კი არ აძლევს შვილს, რომ მძიმე ავადმყოფი დედა ნახოს და მისი სიყვარულით. სრულიად სასოწარკვეთილი ბავშვი ასეთ სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს და მესამე სართულის ფანჯრიდან ძირს გადავარდება და უდროოდ გამოეთხოვება წუთისოფელს ისე, როგორც არა ერთი და ორი მოწაფე ისპობს სიცოცხლეს უმსგავს მასწავლებლების და მშობლების წყალობით.

წარმოდგენის მხრით პიესამ ჩინებულად ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მსახიობებს სასურველი მომზადება ეტყობოდათ: ყველა თავის ადგილზედ იყო და თავს თავისუფლად გრძნობდა; როლები შეგნებულად ჰქონდათ შესწავლილი. შთაბეჭდილების მთლიანობას ხელს უწყობდა მშვენიერი გრიმები. მშვენიერი იყო განსაკუთრებით ბ-ნი ყალაბეგიშვილი ლეონარდ ულლერის როლში. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ საღამოს არა-ჩვეულებრივ კარგი იყო ბ-ნი მურუსიძე მასწავლებლის ჰენგლერის როლში: მშვენიერი გრიმი, შესაფერი თვალ-ტანადობა და მიხვრა-მოხვრა და მასთან გამოცვლილი ხმა ხელს უწყობდა მას ნაკისრი როლის მოხდენილად შესრულებაში.

თეატრი სავსე იყო საზოგადოებით.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პიესის თარგმანი ერთობ სუსტია. რუსიციზმებს გარდა, რომლითაც სავსეა თარგანი, ხშირად შეხვდებით შიგ ისეთ სიტყვებს და წინადადებებს როგორიცაა: „მაშვინ" (უნდა იყოს „მაშინ"; „ისე შუა, როგორც მგელი" (უნდა იყოს „როგორც მგელს", ანუ „მგელსავით"); „სიჭკვიანე" (უნდა იყოს: „ჭკვიანობა"), „ხელები მითრთიან" (უნდა იყოს „მიკანკალებს" „თვალები გიბრწყინავენ" (უნდა იყოს „გიბრწყინავს"; სიტყვა „ყველა"-ს შემდეგ შესმენილი ნახმარია მრავლობის რიცხვში (უნდა იყოს მხოლობითში) და სხვ.

— 25 ნოემბერს ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება ჩვენი ცნობილი დრამატურგის შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯე", რომელიც ამას წინად ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების გამო მეორე მოქმედების შემდეგ გადადებულ იყო.

— 27 ნოემბერს, დღით შაბათს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება დრამატიულ-ლიტერატურული საღამო ადგილობრივის ქართულ დრამატიულ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად. როგორც გვპირდებიან, საღამო მეტად საინტერესო იქნება.

**იხარა.**

ჯერ შიო ჩიტაძისა, მერე ალ. მდივნის მოღვაწეობით ახალი ხანა, წარსულთან შედარებით, ოქროს ხანა დადგა ქართ. გიმნაზიის არსებობაში. ალ. მდივანი ბევრს მიაჩნია მოწაფის მტრად (ეს სამწუხაროდ, საზოგადოებაშიაც გამიგონია), გიმნაზიის დაცემის მთავარ მიზეზად. მაგრამ ეს მტკნარი შეცდომაა ისე, როგორც 1895—1902 წ. ქართ. გიმნ. მმართველების მასზე უფრო კარგ „ადმინისტრატორებად" და პედაგოგებად დასახვა.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ მოვლენა და შედეგი ერთსა და იმავე დროს არა ხდება. რაიმე მოვლენამ, სახელდობრ საზოგადოებრივმა, რომ ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა დრო. დროს ფარგალში ხდება მოვლენის თანდათანობითი განვითარება, შემდეგ სრულდება პროცესი განვითარებისა, და მხოლოდ შემდეგ ვიხილავთ ნაყოფს. ასეთსავე კანონს ექვემდებარება აღზრდაც. ანტირაციონალურ აღზრდას მოსწავლეზე მაშინ აქვს ძლიერი გავლენა, მაშინ დაამახინჯებს მას, როცა ხანგრძლივია. ფაქტია, რომ ქართულ გიმნაზიის მოსწავლენი ფსიხიურად დამახინჯებული არიან. ამას ნათელჰყოფს სიზარმაცე, შეუგნებლობა, უმეცრება და მრავალი სხ. ყველა ამან დიდი უარყოფითი ნაყოფი მოიტანა ქართულ გიმნაზიაში მოძრაობის შემდეგ, სახელდობრ ალ. მდივნის დროს.

რა ზნეობრივი უფლება აქვს ვისმე, იყოს ეგ მოწაფე, თუ საზოგადო მოღვაწე, ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთა ფსიხიური დაღუპვა გადააბრალოს ალ. მდივანს მხოლოდ იმიტომ, რომ—1905 წ. სასკოლო რეჟიმის შედეგი მის ინსპექტორობის დროს გამოჩნდა? ამის მთქმელს გარდა ულოგიკობისა, ბეცობაც შეემჩნევა. ეს გამოაჩნდა არა მარტო იოს. ვაჩნაძეს, როდესაც თავის დამღუპველად ალ. მდივანს ასახელებს, არამედ იმ ქართველ მოღვაწეებსაც, რომელნიც წლიურ კრებებზე მასში იჭამდის მიდიოდნენ, რომ ალ. მდივნის პიროვნებასაც უარ ჰყოფდნენ, არამც თუ გიმნაზიის დამღუპველად სთვლიდნენ. იმ რეჟიმის წყალობით, რომელიც 1895—1904 წ. იყო ქართულ გიმნაზიაში, შემდეგ 1906, 07, 08 წლებშიაც ვერ ვმეცადინეობდით. ან გამოვეჯვინდით, ან ორგანიულად გვ-ძულდა სწავლა. ამიტომ, გასაკვირველია მხოლოდ ბეცებისათვის, რომ ინტელექტური მუშაობა ალ. მდივნის დროსაც შეუძლებელი იყო. და ნუ თუ ეს მდივნის ბრალია! ნუ თუ იმაზედ უფრო ჰუმანიური მოპყრობა შეიძლება, რომელსაც სჩადიოდა ალ. მდივანი ჩვენ მიმართ? როცა ხედავდა ნათლად, რომ სწავლასთან შორს ვიყავით და არავითარი საშუალება არ მოქმედებდა ჩვენზე, სცდილობდა როგორმე სასწავლებელი მაინც დაგვესრულებინა. რამდენმა მოსწავლემ დაამთავრა სასწავლებელი მხოლოდ ალ. მდივნის მიშველებით. ამ შემთხვევაში იქამდის მიდიოდა, რომ პირად უხერხულ მდგომარეობაში დგებოდა მთავრობის წარმომადგენლის წინაშე ეგზამენებზე. და ასეთი ადამიანი ნუ თუ „ოც მანეთის" გულისთვის გაწირავდა იოსებ ვაჩნაძეს? ალბად პირდაპირ შეუძლებელი შეიქმნა უკანასკნელის დარჩენა სასწავლებელში; დიდის მოშველებითაც ვერ გაათავებდა და, ტყუილად მოცდებოდა; ერთის სიტყვით ძლიერი არგუმენტები იყო იოს. ვაჩნაძის დათხოვნისა, თორემ ეს არ მოხდებოდა.

ამის საბუთია ზევით ნათქვამი, საცა მეგობარი და არა მტერი გამოდის ალ. ბესარიონის ძე მოსწავლე ახალგაზდობისა.

დასასრულ დამრჩა ერთი ფაქტიური რამ სათქმელი. ვაჩნაძე „ოც მანეთს" აბრალებს. საქმე იმაშია, რომ ტფ. ქართ. გიმნაზიაში ამ ორ-სამ წელიწადს სწავლის ფულისაგან განთავისუფლება მოსწავლეთა პირ ხდება. თვითეულ კლასს მინიჭებული აქვს უფლება თავის მოსაზრების მიხედვით გაანთავისუფლოს მოსწავლენი სწავლის ხვედრ ფულისგან. ანთავისუფლებენ ღარიბებს, რაც შეეხება მათ, ვინც არ არიან განთავისუფლებულნი, ნება აქვთ თვიურად ნაწილ-ნაწილ ხუთმანეთობით შეიტანონ. წარმოიდგინეთ, ეს რაციონალური წესი არ შველის და მრავალს სამის წლის ფულიც არ აქვს შეტანილი. ნუთუ უსახსობრის ბრალია და არა დაუდევრობისა და იმ იმედისა, რომ „რას მიზამენ, ფულს კი არ შევიტანო" მიუხედავად მოსწავლეთა ასეთ უწესრიგოებისა ალ. მდივანს, როგორც ვაჩნაძე ამბობს, „დესპოტიზმი" არ გამოუჩენია, თუ სიმკაცრედ არ მივიღებთ მალი მალ მოგონებას. ასე რომ ვაჩნაძის ბრალდება არც ფაქტიურ, არც ლოგიკურ და ფსიხოლოგიურის მხრივ სიმართლეს არ შეიცავს. ის მსხვერპლია, როგორც მრავალი ჩვენგანი, 1895—1907 წ. სასწავლო რეჟიმისა. და როგორც ასეთი—დასჯის ღირსი არ არის. მისი დაღუპვის მიზეზი მის გარეშეა; მაშასადამე სამართლიანობა მოითხოვს თვით პედაგოგიურმა საბჭომ და ალ. მდივანმა ითავონ მისი განთავისუფლება საპყრობილედან. ამას მოითხოვს ვიმეორებ, პრინციპი სამართლიანობისა და ლოგიკა.

მახსოვს, სამიოდ წლის წინად ტფილისში ვედეკინდის პიესა „გაზაფხულის გაღვიძება" დასდგეს. აღწერილია მოსწავლის სულის ტრაგიზმი, გამოტვინება, ზნეობრივი დაშლა, გამოწვეული სასკოლო რეჟიმით. ერთი გმირი,—მოსწავლე მელხიორი აუპატიურებს მოსწავლე ქალს ვენდლას; მეორის მხრივ მორიცი თავს იხრჩობს ბერძნულ ლათინურისა და მშობლებისაგან თავის დასაღწევად. რადგ?—კაცმა იკითხოს. სკოლამ შეჰქმნა ისეთი ატმოსფერა, რომ პირველმა—მელხიორმა ლიტერილებით გაიგო სქესის საიდუმლოება, სკოლამ ეს დაუმალა მეორე-კი გამოთაყვანდა „ზუთხვით", მაინც კლასში დარჩა; შემდეგ წავიდა იქ, საიდანაც არავინ ბრუნდება. რას ჰფიქრობენ მასწავლებელნი პროფესორები, ზონენბტიზები?—ლანძღავენ, ჰკიცხავენ თავიანთ მსხვერპლებს. ვისკენაა მერე ჩვენი თანაგრძნობა? ტფილისის პრესამ და პედაგოგებმა დიდი წერილები გამოაცხეს, სადაც მელხიორს და მორიცს ვანდალიზმისა და ანტიპედაგოგიზმის მსხვერპლად სახავდნენ. მაგრამ, რატომ იმავ თანაგრძნობას არ იჩენს პრესა და საზოგადოება სოსო ვაჩნაძის მიმართ, რომელიც მელხიორი კი არაა, მაგრამ მორიცი კი არის! იგი ხომ მსხვერპლია სასკოლო რეჟიმისა? მანაც ხომ ცუდი საქმე ჩაიდინა გამგის შეურაცხყოფით, ისეთივე როგორიც მელხიორმა ქალის გაუპატიურებით? თუ მეორე შემთხვევაში მელხიორის გამართლების კრიტერიუმი სკოლის მიერ დამღუპველი გავლენაა, რატომ სოსო ვაჩნაძის ინციდენტში არ მივმართავთ ამ ლოღიკურ კრიტერიუმს? სულით, მოძღვრით ხომ დაღუპვა ქართულმა გიმნაზიამ ვაჩნაძე, ნუ თუ ამას არ აკმარებენ და ციხესაც უმატებენ? მივმართავ ქართულ გიმნაზიის სამოდაგოგიო საბჭოს, თვით უსამართლოდ შეურაცხყოფილ მდივანსაც, რომ ყოველივე ძალა იხმარონ ვაჩნაძისა და სხვების განსათავისუფლებლად. მაშინ მათი ახალი ნაბიჯი ქართულ გიმნაზიაში, ახალი სისტემა სწავლის საქმეში მეტ ნაყოფს გამოიღებს; მაშინ ისინი მოსწავლეთა და საზოგადოების თვალშიაც მეტ ავტორიტეტს მოიპოვებენ.

**ვლ. ცხვ—ძე.**

**პეტერბურგი.**


# განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი
## ბებია-ქალის
## თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბებიდ ინსტიტ. პირდაპირ.

მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—720)

ზ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

# სასტუმრო ნომრები
## ტფილისში

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი ძმ. მილოვებისა № 1. ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანიც არის.

**ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურებს დიდთმობათ.**

(30—181—12) პატრონი ნომრებისა ს. მომცელიძე.

# ტანისამოსის მკერავი
# ი. ნ. სვანიძე

**ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარგარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶

**ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად.** (20—127—15

## ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
# მ. ლალიძისა და ამხ.

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვენითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.** ▶

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—14)

**ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა**

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
# ძმ. ძეგველოვების
## ● მაღაზიას ●

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი
## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—

## საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 კ. გირ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—39)

**ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.**

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა